

მიმართვა კონფერენციის მონაწილეებს

საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 4“

პატივცემულო კოლეგებო,

გთხოვთ, სტატიები გამოგზავნოთ ელ-ფოსტაზე: byzantinology@gmail.com არაუგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა შემდეგი ტექნიკური მონაცემების დაცვით:

- ფორმატი – Microsoft Word.
- სტატიის მოცულობა უცხოენოვანი რეზიუმეს ჩათვლით – 10-12 გვერდი.
- შრიფტი (ფონტი) სათაურის, ავტორის დასახელების და სამუშაო ადგილის ჩათვლით – AcadNusx 12pt (ქართული), Times New Roman 12pt (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), Times New Roman Ancient 12pt (ბერძნული).
- სომხური ან ასომთავრული ფონტის გამოყენების შემთხვევაში, გთხოვთ სტატიის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად გამოგვიგზავნოთ ფონტიც.
- სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,5.
- მინდორი (Margins) – ზედა – 2 სმ, ქვედა – 2,5 სმ, მარცხნივ – 3 სმ, მარჯვნივ – 2 სმ.
- ლიტერატურა მიუთითეთ სქოლიოში Footnotes-ის გამოყენებით ნუმერაციით 1, 2, 3 ... (არ დაიწყეთ ნუმერაცია თავიდან ყოველ ახალ გვერდზე), შრიფტის (ფონტის) ზომა 10pt.

სტატიას უნდა დაურთოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ავტორის სახელი, გვარი
- სტატიის სათაური
- სამუშაო ადგილი (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, ცენტრი თუ სხვ. როგორც გსურთ, რომ იყოს კრებულში)
- ელ-ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი

გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესები:

პირველი მითითებისას ნაშრომის დასახელება დაწერეთ სრულად შემდეგი თანმიმდევრობით:

წიგნი – ავტორი (ავტორები), ნაშრომის დასახელება, კრიტიკული ტექსტის გამომცემელი/რედაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოცემის ადგილი ან/და გამომცემლობა, გამოცემის თარიღი, გვერდები (გვერდების მითითებისას დაწერეთ მხოლოდ ციფრები და წინ არ დაურთოთ „გვ.“, „p.“, „S.“, „стр.“, „σ.“).

პერიოდული გამოცემა ან კრებული – ავტორი, ნაშრომის დასახელება, კრებულის ან ჟურნალის დასახელება, ჟურნალის ტომი/ნომერი, გამოცემის თარიღი, გვერდები (გვერდების მითითებისას დაწერეთ მხოლოდ ციფრები და წინ არ დაურთოთ „გვ.“, „p.“, „S.“, „стр.“, „σ.“).

ნიმუშები:

კ.კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945, 23–24.

გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, 266.

ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1980, 261.

Ch.Walter, Warrior Saints in Byzantine Art and Tradition, Ashgate, 2003, 128, 140.

H.Maguire, Adam and the Animals: Allegory and the Literal Sense in Early Christian Art, Dumbarton Oaks Paper 41, 1987, 364-65.

Michael Psellus, Philosophica minora, vol. II, ed. D.J.O'Meara, Leipzig, 1989, §32.

მეორე და შემდგომი მითითებისას სტატიის, წიგნის და სხვ. დასახელება დაწერეთ შემოკლებულად.

ნიმუშები:

კ.კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II . . . 15.

გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება . . . 265–67.

ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე . . . 241–42.

Ch.Walter, Warrior Saints . . . 297–300.

H.Maguire, Adam and the Animals . . . 365.

Michael Psellus, Philosophica minora . . . §32.

გთხოვთ, დროულად გამოგზავნოთ მასალები და ნუ გადააცილებთ 2014 წლის 1 მარტს.